

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ აგვისტო, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 167-ე და 168-ე პუნქტი:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართი (კვ.მ.)	შენობის ფართი (კვ.მ.)
167	ქალაქ ბათუმში, დ. კაკაბაძის ქ.№32ბ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.21.562	35	-
168	ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქ. N84	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.29.09.006	13 540	-

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ობიექტების პრივატიზაციის გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 167-ე და 168-ე პუნქტი:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
167	ქალაქ ბათუმი, დ.კაკაბაძის ქ.№32ბ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.21.562	35	-	10 350	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
168	ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქ. N84	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.29.09.006	13 540	-	9 200 000	პირობებიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვეში

გ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ობიექტების პრივატიზაციის გეგმის (დანართი 2) 22-ე, 23-ე, და 73-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო
				მიწის ფართი	შენობის ფართი			

				ობი (კვმ)	(კვმ)			პერიოდი ან/და პერიოდულობა
22	ქალაქი ბათუმი, გორგილაძის ქ.№49	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.23.16.042	56	-	123 000	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
23	ქალაქი ბათუმი, გორგილაძის ქ.№49	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.23.16.041	6	-	13 200	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში
73	ქალაქი ბათუმი, სვიშჩევსკის ქუჩის მიმდებარედ	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.09.068	1152	-	160 000	პირობიანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 03 თვეში

- განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები -ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე